

# სამშენაპლო ფაკულტეტი

2017 წლის  
სამეცნიერო ანგარიში

## დეპარტამენტი №101

I. 3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისე მასთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სსიპ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

### I. 4.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4	5
1	“ფერდობის სტატიკური მდგრადობის კრიტერიალური პირობები, ზვავისებრი ნაკადების დინამიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება, პროგნოზირება და დაცვითი ღონისძიებები”. ფუნდამენტური კვლევებისათვის	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ტარიელ კვიციანი	ს. ავალიანი გ. ხუციშვილი

	სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსით დაფინანსებული პროექტი.			
2				

ფერდოებზე ხშირად ხორციელდება მასშტაბური პროექტი, როგორცაა: სატრანსპორტო მაგისტრალების მშენებლობა; ჰიდროტექნიკური მშენებლობა და სხვა. ამ დროს მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში ირღვევა ქანებში დამყარებული ბუნებრივი რეჟიმი, იცვლება დამაბულობის ველი და წარმოიშვება დეფორმაციები. აღნიშნული აქტუალური პრობლემის გადაწყვეტა, მეცნიერულ-თეორიული ბაზის შექმნა, აგრეთვე, რეალურ გეოლოგიურ პირობებში ფერდოების სტატიკური მდგრადობაზე გაანგარიშების საკმაოდ ზუსტი და მარტივად გამოყენებადი საინჟინრო მეთოდების დამუშავება წარმოადგენს კვლევის ობიექტს.

ფერდოს ქანების ტიპზე და დატვირთვების მოქმედების ჯერადობაზე დამოკიდებულებით დადგენილია ბურღვა-აფეთქებითი სამთო სამუშაოების წარმოებისას აფეთქების შედეგად ქანების რხევით გამოწვეული გადაადგილების დასაშვები  $V_{\text{შ}}$  სიჩქარეები, რომლებიც არ იწვევენ დეფორმაციებს. მიღებულია, ერთდროულად ასაფეთქებელი  $Q$  მუხტის მასის ზღვრული დასაშვები მნიშვნელობა (კგ-ში); განსაზღვრულია მოკლე შენელებული აფეთქებებს შორის  $T$  დროის ინტერვალი. მოყვანილია კონტურული აფეთქების სქემა, რომელიც მუხტის აფეთქების შედეგად გამოიწვევს ფერდოს მდგრადობის მინიმალურ ზარალს.

განხილულია ერთგვაროვანი და არაერთგვაროვანი  $H$  სიმაღლის და  $S:1$  ქანობის მქონე მიწის კაშხლების ფერდოების გაანგარიშება მდგრადობაზე. ფერდოების მდგრადობის ანალიზის ჩასატარებლად გამოყენებულია ორი მიდგომა: სრული და ეფექტური დამაბულობების. პირველი ეფუძნება ძვრაზე სიმტკიცის განხილვას დრენაჟის არარსებობის შემთხვევაში, ხოლო მეორის შემთხვევაში ძვრაზე სიმტკიცე განიხილება დრენაჟის არსებობასთან ერთად. დადგენილია სრული და ეფექტური დამაბულობების ანალიზის გამოყენების მიზანშეწონილება და ძირითადი განსხვავება ამ ორ მეთოდით გაანგარიშებებს შორის (მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდებში).

ერთგვაროვანი ფერდოების მდგრადობის ეფექტური დამაბულობების ანალიზის მეთოდით გაანგარიშებისას ე.გ.მ.-ის გამოყენებით აგებულია ძვრის მარაგის კოეფიციენტის გაანგარიშებისათვის საჭირო გრაფიკები და ამ გრაფიკების საფუძველზე განსაზღვრულია ძვრაზე მარაგის კოეფიციენტის რიცხვითი მნიშვნელობა. მდგრადობის გრაფიკის გამოყენების საილუსტრაციოდ ამოხსნილია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითები. მოყვანილია არაერთგვაროვანი მიწის კაშხლებში დაცურების კრიტიკული წრის მდებარეობის გასაზღვრის სამი ვარიანტი. სამივე ვარიანტისათვის აგებულია მდგრადობის გრაფიკები. ამ გრაფიკებიდან ვსაზღვრავთ სამ გეომეტრიულ პარამეტრს:  $N_s, N_e, N_f$ , აგრეთვე გრუნტის ოთხ მახასიათებელ პარამეტრს:  $r_u, \bar{\varphi}, \gamma, \bar{K}$ . ყოველივე ამის საფუძველზე ვსაზღვრავთ მარაგის  $K_{\text{ფ}}$  კოეფიციენტს.

ჰორიზონტისადმი სხვადასხვა კუთხით დახრილი ორი და სამ ბრტყელ კლდოვან ფერდოზე მდებარე ნებისმიერი მოხაზულობის ზედაპირის მქონე გრუნტის ნაყარის ძვრის მარაგის  $\bar{K}_{\alpha\beta}$  კოეფიციენტის განსაზღვრის მიზნით შედგენილია ალგებრული განტოლებათა სისტემები, ნაყარის გეომეტრულ პარამეტრებისა და გრუნტის ძირითადი მახასიათებლების სხვადასხვა კომბინაციებისთვის, აგრეთვე ფერდოზე მოდებული დამჭერი და მძვრელი ძალებზე დამოკიდებულებით (სეისმური დატვირთვის გათვალისწინებით). რომლებიც ამოხსნილია ეგმ-ის გამოყენებით, კომპიუტერული პროგრამებით **Matematica**–სიმბოლურ ენაზე. ფერდოების მეწყერ- ჩამონაქცევებისათვის, როგორც ბრტყელ ისე წრიულ-ცილინდრულ ზედაპირებზე დაცურების შემთხვევებისათვის ამოხსნილია ტესტური მაგალითები.

ფერდოს სტატიკური მდგრადობის დაკარგვის მოსალოდნელი შედეგების აღსაწერად ანუ მეწყერ-ჩამონაქცევების დინამიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების შესწავლის მიზნით მეწყერის დინამიკის ამოსავალი განტოლება მიღებულია გენკი-ილიუშინის განტოლებათა სისტემიდან. დინამიკის განტოლებაში გათვალისწინებულია დაცურებულ გრუნტის მასივში გასაშუალებული სიჩქარეების განაწილების სივრცული ხასიათი. ეს განტოლებათა სისტემა ჩაწერილია ბრტყელი ორგანზომილებიანი მოძრაობისათვის. კომპოზიციური გარემოსათვის განტოლებათა სისტემა დაყვანილია ჰიდროდინამიკურ განტოლებათა სისტემაზე. ეს სისტემა კერძოწარმოებულიანია და არსებობს ჩაუკეტაობის პრობლემა. ამასთან, გვაქვს არასტაციონალური მოძრაობა ცვლადი მასით. ბუსინესკის მეთოდით ამ განტოლებების საფუძველზე მიღებული იქნა ერთგვაროვანი ერთგანზომილებიანი განტოლებათა სისტემა. სიტემის ჩაკეტვის მიზნით ბუსინესკის კორექტივები მივიღეთ ერთი ტოლი და გადავადგეთ სიდიდე, რომელიც ასახავს ე.წ. შეზის ტურბულენტური ხახუნის კანონს.  $\rho, \bar{s}, \varphi, K, \tau_0$  სიდიდეების მუდმივებად მიღებით სისტემა აღმოჩნდა ჩაკეტილი, რადგან ორი  $h$  და  $\omega$  უცნობისათვის გვექნება დინამიკის და უწყვეტობის ორი განტოლება. შემდეგ მოცემული სისტემა მიყვანლია ინტეგრალურ ფორმამდე.

ინტეგრალურ ფორმამდე მიყვანილ განტოლების ამოსახსნელად ვიყენებთ ვინიჩ-სიანოჟეკის შრომებში ასეთი ტიპის განტოლებების ამოხსნის მეთოდს და ჩატარებული მათემატიკური ოპერაციების საფუძველზე მიღებულია მეწყერ-ჩამონაქცევის დინამიკის ძირითადი განტოლება. ამ განტოლებითაღწერილი დინამიკური პროცესების ღვარცოფული ნაკადების მოძრაობისაგან განმასხვავებელი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ სელის მოცულობა იზრდება სიჩქარის ზრდასთან ერთად კალაპოტური მასალის წარტაცების შედეგად, ხოლო სიჩქარის დაცემის დროს კი პირიქით. ჩვენს განსახილველ შემთხვევაში მეწყერ-ჩამონაქცევის ტანის მოცულობა (მასა) იცვლება ძალიან უმნიშვნელოდ და შეიძლება მივიღოთ მუდმივად. მეწყერის დინამიკის გადამწყვეტი გატილების ინტეგრების შედეგად მიღებულია არაწრფივი ალგებრული დამოკიდულება მეწყერ-ჩამონაქცევის მასათა ცენტრის კოორდინატის  $\bar{x}_m$  -ის მიმართ. მოყვანილია აღიშნული დამოკიდებულებიდან  $\bar{x}_m$  -ის განსაზღვრის მეთოდი. მიღებულია მეწყერ-ჩამონაქცევების სტატიკური მდგრადობა-არამდგრადობის კრიტერიალური პირობები, აგრეთვე შესწავლილია მათი წარმოქმნის შესაძლებლობის პროგნოზირების საკითხები.

ზვავისებრი ნაკადების (თოვლის ზვავების) დინამიკური პროცესების მათემატიკური

მოდელირების შესწავლის მიზნით მოყვანილია ცნობები ზვავსაშიშროების პირობებთან დაკავშირებით. კერძოდ, ზვავწარმოქმნის დამოკიდებულება ზედაპირის ქანობებთან, აგრეთვე მოცემულია ზვავსაშიშროების ბუნებრივი ფაქტორები: თოვლის ნალექები, თოვლის სტრუქტურა, ამინდის პირობები, ზვავების მოწყვეტა და სიმძლავრე, გეომორფოლოგიური, კლიმატური და სხვა მახასიათებლები. რომლებიც ზოგად წარმოდგენას იძლევიან ზვავების წარმოშობის და გავრცელების პროცესებზე და საკმაოდ მნიშვნელობანნი არიან თეორიულ-რაოდენობრივი შესაფესების შექმნისათვის. აგრეთვე თოვლის საფარის მდგრადობა-არამდგრადობის კრიტერიუმის დასადგენად, ამ ფაქტორებთან ერთად დამატებით გათვალისწინებულია თოვლის საფარზე ცივი ქარების არსებითი ზემოქმედების ფაქტორი. მიღებულია მთის თხემიდან დაფერდებაზე მოძრავი ქარის სიჩქარისა და მძვრელი ძალების სიდიდეები, რომელიც გადაეცემა ქარიდან თოვლის საფარს.ეს ძალა წარმოადგენს ფერდობის ზედაპირზე მოქმედი სიმძიმის ძალის დამატებით შემდგენს, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს თოვლის ზვავის წარმოქმნა.პირველადაა მხედველობაში მიღებული ქარების როლი თოვლის შრის მდგრადობის დაკარგვის კრიტერიუმების დადგენაში.ხშირად თოვლის ზვავის წარმოშობის მაპროვოცირებელი ხდება წვიმის წყლის ფილტრაციით გამოწვეული ნაკადი თოვლის საფარსა და საკონტაქტო ზედაპირზე. მოყვანილია თოვლის შრის საფარზე მოქმედი ფილტრაციით გამოწვეული ძალების სიდიდეების განმსაზღვრელი დამოკიდებულებები. აგრეთვე, მოყვანილია გრავიტაციული ძალებისა და წყლის ფილტრაციის გათვალისწინებით თოვლის ფსკერულ შრეში მგრადობა-არამდგრადობის უმარტივესი კრიტერიალური პირობა.

შეჭიდულობის ძალების გათვალისწინებით მიღებულია, თოვლის საფარის სტატიკური მდგრადობა-არამდგრადობისა და თოვლის ზვავების წარმოქმნის განზოგადებული პირობები (კრიტერიუმები), წყლის ფილტრაციული ძალების, სეისმოტექნიკური ბიძგებისა და ცივი ქარების ზემოქმედების გათვალისწინებით

თოვლის ზვავების დინამიკური პროცესების აღსაწერად გამოვიყენეთ კომპოზიციური გარემოს, მეწყერულ-ჩამონაქცევების განტოლებათა სისტემა, წარმოდგენილი ჰიდროდინამიკის განტოლებათა ფორმით და მისი ერთგანზომილებიანი ვარიანტი. ეს სისტემები ითვალისწინებენ ფხვიერ და პლასტიკურ თვისებებს და ამის გარდა, პლასტიკურობას, რომელიც მახასიათებელია ბინგამისებრი სითხეებისათვის.

## II. 1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ვ.ფაჩულია, გ.ყიფიანი	თეორიული მექანიკა (სტატისტიკა)	თბილისი გამომცემლობა „სტუ საგამომცემლო სახლი“	130
2	დ.გორგიძე, ლ. ჯიქიძე, ზ. ციციშვილი, მ. ლოსაბერიძე, ლ. ქვარცხავა	მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოებისთვის თეორიულ მექანიკაში	თბილისი , სტუ-ს გამომცემლობა ტექნიკური უნივერსიტეტი	205
3	თ. ბაციკაძე, ჯ.ნიჟარაძე	Основы теории упругости и пластичности (часть I) (სახელმძღვანელო)	„ ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2017წ.	149
4	თ. ბაციკაძე, ჯ.ნიჟარაძე	Н. Наморадзе. Краткий курс сопротивления материалов. (часть I) Перевод с грузинского на русский . (დამხმარე სახელმძღვანელო)	„ ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2017წ.	102
5	რ. გიორგობიანი	მასალათა გამძლეობის ლაბორატორიული სამუშაოები (მეთოდური მითითება)	„ ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2017წ.	39
6	რ. გიორგობიანი	ლაბორატორიული პრაქტიკუმის ანგარიში მასალათა გამძლეობაში (ჟურნალი)	„ ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2017წ.	34
7	რ. გიორგობიანი	Журнал лабораторных работ по сопротивлению материалов	„ ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2017წ.	36
8	ა. ხაბეიშვილი ნ. ხაბეიშვილი, რ. გიორგობიანი	დრეკადი სისტემის დინამიკური გაანგარიშება (დამხმარე სახელმძღვანელო)	გამომცემლობა „უნივერსალი“ 2017 წ.	193
9	ც. ბუჩუკური,	მართვუთხა ფილის	„ტექნიკური	41

	დ. ჯანყარაშვილი	ამოცანების ამოხსნა სასრული სხვაობის და ნავიეს (ორმაგი ტრიგონომეტრიული მწკრივის) მეთოდით	უნივერსიტეტი“. თბილისი, 2017წ.	
--	-----------------	---	-----------------------------------	--

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ზ.ციციშვილი	მილისებრ წყალშემკრებში გრუნტის წყლების ფილტრაციის ამოცანის ამოხსნის რიცხვითი რეალიზაცია/სტუ შრომების კრებული	2017 წლის N1	თბილისი სტუ-ს საგამომცემლო სახლი	5
2	ზ.ციციშვილი	ფილტრაციის ამოცანის ამოხსნა სამკუთხედის ფორმის სრულყოფილი დრენაჟისათვის/სტუს შრომების კრებული	2017წლის N2	თბილისი სტუ-ს საგამომცემლო სახლი	5
3	დ. გორგიძე, ნ. გულუა, ლ ქვარცხავა	ელიფსური ტრანსტროპული ცილინდრის თერმოდრეკადი წონასწორობა	საქართველოს საინჟინრო სიახლენი , №3 2017	თბილისი, გამ-ბა » ტექნიკური უნივერსიტეტი“	6
4	დ. გორგიძე, ნ. გულუა, ლ ქვარცხავა	ცილინდრული პანელის ელექტროდრეკადი	საქართველოს საინჟინრო სიახლენი , №3	თბილისი, გამ-ბა » ტექნიკური	4

		წონასწორობა	2017	უნივერსიტეტი“	
5.	Джикидзе Л.А. Цуцкиридзе В.Н.	Нестационарное течение проводящей жидкости вблизи вращающегося пористого диска с учетом магнитного поля и теплопередачи	Труды. Грузинский технический университет. 2017, №2(504), стр.169-175	Труды. Грузинский технический университет. 2017, №2(504), стр.169-175	7 стр.
6.	ტ. კვიციანი	ბრტყელ დახრილ გრუნტის ფერდოზე ნაყარის მდგრადობის გაანგარიშება ძვრაზე. სტუ-ს შრომათა კრებული	№ 2(504), 2017 წ.	გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი	8
7.	ტ. კვიციანი	მთის კლდოვან ფერდოზე მდებარე ტრაპეციოიდალური განივკვეთის მქონე გრუნტის ფერდოს გაანგარიშება მდგრადობაზე. სტუ-ს შრომათა კრებული.	№ 2(504), 2017 წ.	გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი	9
8.	ტ. კვიციანი	მთის კლდოვან კალთებზე დაყრდნობილი ნებისმიერი მოხაზულობის ზედაპირის მქონე გრუნტის ფერდოს გაანგარიშება მდგრადობაზე	№ 3 (505), 2017 წ.	გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი	10
9.	T. Kvitsiani	Impact of the wind moving from the mauntain crestdown the snow-covered slope on the snow and avalanche formation	Reports, VIII Annual meeting of the georgian mexanical union	”Tbilisi university press”	8

10	თ. ბაციკაძე, ჯ.ნიჟარაძე, ნ. მურღულია	ცილინდრული გარსების მდგრადობის საკითხისათვის	№1 (44)	სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“,სტუ. თბილისი, 2017წ..	4
11	ნ. მურღულია, თ. ბაციკაძე, რ.გიორგობიანი, ვ.ტურაშვილი	სქელკედლიანი ცილინდრის გაანგარიშება ზღვრულ დატვირთვაზე შიგა წნევის პირობებში	№2 (45)	სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“,სტუ. თბილისი, 2017წ..	3
12	ნ. მურღულია, ტ. ბაციკაძე, კ.იაშვილი, ლ.ყორღანაშვილი	რკინაბეტონით შევსებული ფოლადის მილის ცენტრალური კუმშვა	№2 (45)	სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“,სტუ. თბილისი, 2017წ..	5
13	ვ. ლომიძე	აპროქსიმაციის ზოგიერთი ხერხის დაზუსტების შესახებ	(ჩაშვებულია გამოსაცემად)	ჟურნალი „ენერჯია“ თბილისი, 2017წ..	
14	თ. ბაციკაძე, ჯ.ნიჟარაძე, ვ.ტურაშვილი	შედგენილი ცილინდრის დრეკად- პლასტიკური მდგომარეობა გარე წნევისა და ცვლადი ტემპერატურის პირობებში	№2 (45),	სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“,სტუ. თბილისი, 2017წ..	3
15	ა. ბუქსიანიძე	Ynteraction of clusion	N2 (67)	(("Problems of Mechanics" nternational scientific journal). Tbilisi 2017	5
16	დ.ჯანყარაშვილი, გ.დანელია, დ.ტაბატაძე ლ.ყორღანაშვილი	საკუთარი რხევის განსაზღვრა მიმდევრობითი მიახლოების მეთოდით, მატრიცული ფორმით	№1(44)	სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ 2017 წ	5
17	ნ. მურღულია თ.მალრაძე	რკინაბეტონით შევსებული ფოლადის	№2(45)	სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი	5



	კ.იაშვილი ლ.ყორღანაშვილი	მილის ცენტრალური კუმშვა		„მშენებლობა“ 2017 წ	
18	ი.კაკუტაშვილი ლ.ყორღანაშვილი	ცილინდრული კვადრატის გარსის დრეკადობის ფარგლებს გარეთ გაანგარიშების გამარტივების შესახებ		სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ 2017 წ	6
19	ზ.მჭედლიშვილი ლ.ყორღანაშვილი	ვირენდელის ტიპის კოჭისებური ჩარჩოების სიმტკიცეზე ანგარიში		სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ 2017 წ	6
20	ი.კაკუტაშვილი ხ.გორჯოლაძე	ცილინდრული დამრეცი გარსის გაანგარიშება მასა ლის წრფივი განმტკიცების კანონის გათვალისწინებით	№3	სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ 2017 წ	5
21	ი.კაკუტაშვილი	თხელი დამრეცი ცილინდრული გარსის დრეკადობის ფარგლებს გარეთ გაანგარიშების შესახებ	№2	სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ 2017 წ	5
22	ზ.მჭედლიშვილი ა.ტაბატაძე	ლილვზე განთავსებული პარაბორული კვეთის მქონე მბრუნავი დისკის დამაბულ დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზი.	№1(44)	სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ 2017 წ	7
23	ა.ტაბატაძე ზ.მჭედლიშვილი ლ.ქრისტესიაშვილი	მაღალ ტემპერატურულ რეჟიმში მომუშავე დისკებში ტემპერატურების განაწილების ანგარიში.	2(45)	სამეცნიერო- ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ 2017 წ	6

**III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	V. Tsutskiridze, L. Jikidze, E. Elerdashvili.	The stationary flow of laminar liquid in a circular pipe of infinite length	VIII ANNUAL MEETING OF THE GEORGIAN MECHANICAL UNION. TBILISI. September 27 – 29, 2017.
2	V. Tsutskiridze, L. Jikidze, E. Elerdashvili.	MHD-Flow of Conducting Liquid in Ducts with Arbitrary Conductivity of Walls .	VIII Annual International Conference of the Georgian Mathematical Union. Batumi, September 4 – 8 2017
3	T. Kvitsiani	Identification of the reserve coefficient of the ground fill on a plain non-cliffy slope	მე-9 საერთაშორისო კონფერენცია მშენებლობისა და არქიტექტურის პრობლემებზე, 2017 წლის 13-18 სექტემბერი, ქ. ბათუმი
4.	T. Kvitsiani	Mathematical Modeling of the dynamical Processes of avalanche-Like Currents.	ი. ვეკუას დაბადებიდან 110 წლისადმი მიძღვნილი საქართველოს მექანიკოსთა კავშირის VIII საერთაშორისო კონფერენცია. 2017 წლის 27-29 სექტემბერი, თბილისი.

**ჰიდროინჟინერიის დეპარტამენტი N104**

დეპარტამენტის უფროსი პროფესორი მირიან ყალაბეგიშვილი

არჩილ მოწონელიძე	ემერიტუსი პროფესორი
ლალი ღოდელიანი	ემერიტუსი პროფესორი

ნოდარ კოდუა	ემერიტუსი პროფესორი
შალვა გაგოშიძე	ემერიტუსი პროფესორი
ზურაბ დანელია	ემერიტუსი პროფესორი
მირიან ყალაბეგიშვილი	პროფესორი
იური ქადარია	პროფესორი
ამირან საყვარელიძე	პროფესორი
გიორგი დალაქიშვილი	პროფესორი
რობერტ დიაკონიძე	პროფესორი
ავთანდილ გოგოლაძე	ასოცირებული პროფესორი
ვახტანგ ნანიტაშვილი	ასოცირებული პროფესორი
მარინე თოფურია	ასოცირებული პროფესორი
გიორგი ზალიკაშვილი	ასოცირებული პროფესორი
პეტრე ჭიჭაღუა	ასოცირებული პროფესორი
კონსტანტინე ხაზალია	ასოცირებული პროფესორი
ალექსანდრე ახვლედიანი	ასოცირებული პროფესორი
იუნონა მარგალიტაძე	ასოცირებული პროფესორი
შორენა კუპრეიშვილი	ასოცირებული პროფესორი
მანონი კოდუა	ასისტენტ პროფესორი
გიორგი ახვლედიანი	ასისტენტ პროფესორი
ნინო კოხრეიძე	ასისტენტ პროფესორი
ვალერიან შარიქაძე	აკად.დოქტ.მოწვეული მასწავლებელი
აზა სურმავა	უფროსი მასწავლებელი
ნინა ნარიძანიძე	უფროსი მასწავლებელი

**I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017 წლის  
გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**  
(ეხება უნივერსიტეტებთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს და სსიპ  
სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

**I. 2.**

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	<p>„გარემოს დაცვისა და წყალთა მეურნეობის თანამედროვე პრობლემების კვლევა კლიმატის ცვლილების ფონზე“</p> <p>ქვემიმართულება: „კლიმატის ცვლილების ფონზე მოსალოდნელი წყალდიდობების და წყალმოვარდნების კვლევა, პროგნოზი და მათი საწინააღმდეგო თანამედროვე ღონისძიებების დამუშავება“</p> <p><b>მეცნიერების დარგი:</b> საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</p> <p><b>სამეცნიერო მიმართულება:</b> 2.1.5 დედამიწის და მათთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი</p>	<p style="text-align: center;">რ. დიაკონიძე თანახელმძღვანელი ზ. ჭარბაზე</p>	<p>ო. ნათიშვილი ჯ. ფანჭულიძე მ.შავლაყაძე ზ. ჭარბაძე ნ. ნიბლაძე ქ. დადიანი ბ. დიაკონიძე</p>

<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p>			
<p>1. საკვლევი საკითხის ირგვლივ მოძიებული იქნა არსებული მასალები; კვლევებისათვის შერჩეული იქნა სამი საპილოტე წყალშემკრები აუზი: მდინარე რიონის, მდინარე არაგვის და მდინარე ვერეს; გაკეთდა წყალდიდობების სტატისტიკის ანალიზი და დაწყებულია ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემების მოძიება წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების პროგნოზული მაჩვენებლების</p> <p>საანგარიშოდ. კვლევის ამ ეტაპზე მთლიანად არის შესწავლილი მდ. ვერეს აუზი და დადგენილია მაქსიმალური ხარჯების პროგნოზული სიდიდეები. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა წყალდიდობების საანგარიშო მეთოდოლოგიაში, ერთ-ერთი ძირითადი პარამეტრის, წყალშემკრები აუზის ფართობის დასადგენად.</p>			

**I. 3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**  
(ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისე მასთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სსიპ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4	5
1	შავი ზღვის წყლის ხარისხის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება და ზღვისპირეთის აბრაზიული პროცესებისაგან დაცვის კომპლექსური ღონისძიებების	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	რ. დიაკონიძე	ე. შენგელია გ. გავარდამვილი გ. ჩახაია ლ. წულუკიძე ზ. ვარაზაშვილი თ. სუპატაშვილი

	<p>დამუშავება საქართველოს საზღვრებში მეცნიერების დარგი: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სამეცნიერო მიმართულება: 2.1.5 დედამიწის და მათთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი</p>			
--	---	--	--	--

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომში წარმოდგენილია 2008-2017 წლების კვლევის შედეგები, კერძოდ, შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემების ზოგადი შეფასებები, ზღვის წყლისა და მასში ჩამდინარე წყლების ხარისხი, აგრეთვე ზღვაში გოგირდწყალბადის სიღრმითი გავრცელების დონე.

შეფასებულია შავზღვისპირეთის სანაპირო ზოლის აბრაზიული პროცესები და მათი სტაბილიზაციის შესაძლებლობა ზღვაში ჩამდინარე მდინარეთა მიერ ტრანსპორტირებული მყარი ნატანის დარეგულირების გზით.

დადგენილია მყარი ნატანის მოცულობის დაფიციტის ის რაოდენობა, რომელიც შეაჩერებს ან მნიშვნელოვნად შეამცირებს ზღვის სანაპირო ზოლის გარეცხვას და მიტაცებას.

გაკეთებულია შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემების ზოგადი შეფასებები და მათი აღმოფხვრის რეკომენდაციები.

**I. 4.**

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	"სანაპირო არეებში ტალღურ მოძრაობათა გაანგარიშების გამოყენებითი ანალიზური მეთოდები"	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გრანტი FR/35/9-120/14 2015-2018	შ.გაგოშიძე	შ.გაგოშიძე მ.კოდუა ა.გოგოლაძე ი.ქადარია

	<p><b>მეცნიერების დარგი:</b> 1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები <b>სამეცნიერო მიმართულება:</b> 1.5 დედამიწის და მათთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი</p>			
2	<p>ახალი ტიპის მოტივტივე მოცურავე ტალღაშემარბილებელი ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსის შემუშავება,სანაპირო ზოლისა და ღია პორტების შტორმული ტალღებისგან დასაცავად. <b>მეცნიერების დარგი:</b> 2.ინჟინერია და ტექნოლოგიები. <b>სამეცნიერო მიმართულება:</b> 2.7. გარემოს შემსწავლელი ინჟინერია.</p>	<p>შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გრანტიFR/360/3-105/13 2015–2017</p>	ზ.ციხელაშვილი	ი.ქადარია (წამყვანი მეცნიერი)
3	<p>გეომორფოლოგიური პროცესების სტაბილიზაციის ღონისძიებები მდინარეების რიონისა და ენგურის შესართავ აკვატორიებში და</p>	<p>შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო,ფონდი. №AR/22/3-109/14 2015-2017</p>	ი.სალინაძე	შ.გაგოშიძე (წამყვანი მეცნიერი )

<p>მათი გაანგარიშების ჰიდროდინამიკური მეთოდები.  <b>მეცნიერების დარგი:</b>  1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები  <b>სამეცნიერო მიმართულება:</b> 1.5 დედამიწის და მათთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი.</p>			
--	--	--	--

1. პროექტის რეზიუმე

პროექტის შესრულების მიზანია ზღვის სანაპირო არეებსა და სამდინარო არხებში წყლის პერიოდულ ტალღურ მოძრაობათა ისეთი ჰიდროდინამიკური თეორიის შემუშავება, რომელიც გამოირჩევა რა მაღალი სიზუსტით, პრაქტიკულად ადვილად გამოყენებადი იქნება საინჟინრო პროექტირებაში.

პროექტში განიხილება შემდეგი ამოცანები:

ამოცანა 1. ზღვის ტალღების რეფრაქცია და ტრანსფორმაცია ნებისმიერი კუთხით დახრილ სანაპირო ფერდობებთან;

ამოცანა 2. ტალღების გავრცელება შევიწროვებად აკვატორიებში;

ამოცანა 3. ნაპირგასწვრივი ტალღები ტრაპეციული კვეთის ღია არხებში;

ამოცანა 4. ტალღურ მოძრაობათა მდგრადობა წრიული კვეთის უდაწნეო წყალსატარებში;

ამოცანა 5. გრძელი ტალღები წყლის თანაბარ და არათანაბარ დინებებზე.

პირველი ოთხი ამოცანის გადაწყვეტას საფუძვლად დაედება ცილინდრულ საკოორდინატო სისტემებში ჩაწერილი წრფივი ტალღური ჰიდროდინამიკის სამგანზომილებიანი განტოლებები, რომლებიც ბაზისური ფუნქციების სათანადოდ შერჩევისა და გალიორკინ-კანტოროვიჩის პირდაპირი მეთოდის გამოყენებით დაიყვანება ტალღური ჰიდროდინამიკის ახალ, ევოლუციურ განტოლებებამდე, რომელთა ამოხსნა, როგორც ანალიზურად (კერძოდ ასიმპტოტური WKB-მეთოდით), ასევე რიცხობრივად, სირთულეს აღარ წარმოადგენს.1 ამოცანის ამოხსნა ზუსტად დააკმაყოფილებს ყველა სასაზღვრო პირობას

(უსასრულობაში ზომერფელდის გამოსხივების პირობის ჩათვლით); საშუალებას მოგვცემს მარტივად გავიანგარიშოთ სითხის ნაწილაკების სიჩქარეთა სამგანზომილებიანი ველი წყლის მიერ დაკავებული სივრცის ნებისმიერ წერტილში და ავაგოთ ტალღური ზედაპირის რეფრაქციული სურათი სანაპირო ფერდობის ჰორიზონტთან ნებისმიერი (0°-დან 180°-მდე) დახრის შემთხვევაში. (ეს შედეგი სრულ შესაბამისობაში იქნება სტოკერის ერთ კერძო, მაგრამ



ასევე როგორც ამონახსნთან, რომელიც შეეხება ვერტიკალურ კედელთან ტალღების რეფრაქციას. იხ. (Stoker J.J 1957, Water Waves. section 5.3) გარდა ამისა, ნაჩვენები იქნება, რომ პირველი ამოცანისათვის გამოყვანილ შრედინგერის ტიპის ევოლუციურ განტოლებას, იმ შემთხვევაში, როცა უსასრულობაში კუთხე ტალღების ქიმებასა და ნაპირის ხაზს შორის აჭარბებს  $75^\circ$ -ს, ხოლო ფერდობის დახრის კუთხე  $45^\circ$ -ს მივყავართ ნაპირიდან გარკვეულ მანძილებზე ე.წ. "პოტენციალური ორმოების" წარმოქმნამდე. "პოტენციალური ორმოში" ვარდნისას ტალღის ქიმები განიცდიან წყვეტას და ფაზის წანაცვლებას. გამოდიან რა "ორმოს" ფარგლებიდან, ისინი კვლავ ექვემდებარებიან რეფრაქციას და უახლოვდებიან ნაპირს. ეს თეორიული შედეგი სრულ შესაბამისობაში იქნება პირსონის დაკვირვებებთან, რომლებიც აქამდე მათემატიკურად დაუსაბუთებელი რჩებოდა (იხ. სტოკერის მონოგრაფია, 3.5.6. და მასში მოყვანილი პირსონის ცნობილი ფოტოსურათები. Stoker J.J. 1957 Water Waves. Fig 5.6.2., and 5.6.5).

2 ამოცანაში, პირველად ტალღურ ჰიდრომექანიკაში, "ღრმა" და "მცირე" წყლის ცნებების ანალოგიურად, შემოტანილი იქნება ტალღის სიგრძესთან შედარებით "განიერი" და "ვიწრო" აკვატორიების (კალაპოტების) ცნებები. ნაჩვენები იქნება, რომ ტალღის სიმაღლის ზრდის გრინისეული კანონი სამართლიანია მხოლოდ აკვატორიის "ვიწრო" უბნებისთვის, იმ დროს, როდესაც "განიერ" უბნებზე, კალაპოტის შევიწროვების გამო, მატების ნაცვლად ხდება ზღვიდან მოსული ტალღის სიმაღლის ოდნავი შემცირება;

3 ამოცანაში ნაპირგასწვრივი ტალღური მოძრაობა ტრაპეციულ არხებში განიხილება არხის ფერდობების ნებისმიერად დახრის შემთხვევაში. არსებული (მაკდონალდისა და კელანდის) ზუსტი ამოხსნები ვრცელდება მხოლოდ ფერდობების  $30^\circ$  და  $45^\circ$  დახრილობის სამკუთხა არხებზე;

4 ამოცანაში პირველად იქნება ნაჩვენები, რომ გამტარუნარიანობის შემცირება წრიული კვეთის გვირაბში, მისი თითქმის პირამდე შევსებისას, უნდა აიხსნას მხოლოდ ნაკადის ზედაპირული ტალღური შემფოთებების ჰელმჰოლცისეული არამდგრადობით;

5 ამოცანაში მცირე წყლის განტოლებების კორექტული გაწვრივების საფუძველზე მიიღება რიგი უნიკალური შედეგებისა. მაგალითისათვის, მათემატიკურად ნაჩვენები იქნება, რომ დინების საწინააღმდეგოდ მიმართული ტალღების შეჩერება (ბლოკირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ ნაკადის ფრუდის რიცხვი აჭარბებს  $2/3$ -ს და არა  $1$ -ს, როგორც ეს ადრე იყო მიჩნეული; ამავე მათემატიკური მოდელის ფარგლებში გამოყვანილი იქნება აგრეთვე ყველა ტიპის ჰიდრაულიკური ნახტომისა და ე.წ. ბორის ტიპის მგორავი ტალღების შეუღლებული სიღრმეების საანგარიშო დამოკიდებულებები.

## 2. პროექტის რეზიუმე

პროექტის ფარგლებში შემუშავებულია ეფექტური ნაპირდამცავი ახალი ტიპის მოტივტივე ტალღაშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობათა ბმულის ინოვაციური ტექნოლოგია სანაპირო ზოლისა და ღია ნავსადგურების შტორმული ტალღებისაგან დასაცავად. ასევე შესაძლებელია ზღვის სანაპირო ზოლის მიმდებარე ტერიტორიების ეკოლოგიური დაცვის უზრუნველყოფა.

### 3. პროექტის რეჟიმე

საგრანტო პროექტის შესრულების მიზანია მდ. რიონის შესართავთან საქართველოს მთავარ საპორტო ქალაქ ფოთისა და მდ. ენგურის შესართავთან მშენებარე ქალაქ ანაკლიის ზღვისპირა რეგიონებში ისეთი ჰიდრო-საინჟინრო და გარემოსდაცვით ღონისძიებათა შემუშავება, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს ამ რეგიონებში ბუნებრივი (კატასტროფული) და ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედებით განპირობებულ გეომორფოლოგიურ ცვლილებებს და ხანგრძლივად დაიცავს ამ რეგიონების სანაპირო არეებს წარეცხვებისა და მოსილვების მასშტაბური პროცესებისგან.

პროექტის შესრულების აუცილებლობა განპირობებულია ამ რეგიონებში უკვე გატარებულ სარეაბილიტაციო-საინჟინრო ღონისძიებათა არაეფექტურობით.

კვლევის ობიექტებს წარმოადგენენ:

1. ქალაქ ფოთის პორტის შესასვლელი არხი
2. ქალაქ ფოთის საზღვაო ნაპირი
3. მდ. რიონის წყალგამყოფი კაშხალი
4. „საქალაქო არხი“ – მდ. რიონის ძველი კალაპოტი
5. მდ. ენგურის შესართავთან მშენებარე ქალაქ ანაკლიის წარეცხილი პლაჟი

